21.10. 2017

განცხადება

კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის შესახებ უბნის დახურვამდე

21 ოქტომბერი

15:00-20:00

საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამას.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამა მოიცავს 19 საარჩევნო ოლქს, კერძოდ: რუსთავის # 20, გარდაბნის # 21, მარნეულის # 22, ბოლნისის # 23, დმანისის # 24, წალკის # 25, თეთრიწყაროს # 26, (ქვემო ქართლი), ბორჯომის # 36, ახალციხის # 37, ადიგენის # 38, ასპინძის # 39, ახალქალაქის # 40, ნინოწმინდის # 41, (სამცხე-ჯავახეთი), საგარეჯოს # 11, ახმეტის # 18, (კახეთის), კასპის # 30, გორის # 32, ქარელის # 33 და ხაშურის # 35 (შიდა ქართლის) საარჩევნო ოლქებს.

სამონიტორინგო პროგრამაში ჩართულია 487 მოკლევადიანი დამკვირვებელი, მათ შორის საუბნო, მობილიური ჯგუფის, საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამკვირვებელი.

სამონიტორინგო პროგრამა სრულად ფარავს რუსთავის # 20, მარნეულის # 22, გორის # 32, ახალციხის # 37 და ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქებს.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით ,,მრავალეროვანი საქართველოს‘‘ ცენტრალურ ოფისში ფუნქციონირებს ინციდენტების ცენტრი. ინციდენტების ცენტრის 8 ოპერატორი მუშაობს საგანგებო რეჟიმში. ოპერატორები მოკლევადიანი დამკვირვებლებისაგან მუდმივ რეჟიმში იღებენ და ამუშავებენ საარჩევნო ხასიათის ინფორმაციას.

გარდა აღნიშნულისა, ,,მრავალეროვანი საქართველოს‘‘ ოფისში მოქმედებს ცხელი ხაზი (591 04 76 02), რითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს და არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამას მიაწოდოს მის ხელთ არსებული საარჩევნო ხასიათის ინფორმაცია.

არჩევნებზე დღეზე სამონიტორინგო პროგრამას სამართლებრივ მხარდაჭერას უწევენ პროგრამის იურისტები.

რაც შეეხება კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს, „მრავალეროვანი საქართველოს“ მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი იქნა შემდეგი ხასიათის ინციდენტები:

რუსთავის #20 საარჩევნო ოლქის #63 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა კენჭისყრის პროცედურის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირება გაუკეთდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში გადამოწმებამდე. აღნიშნული პირი არ აღმოჩნდა საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის საჩივრის საფუძველზე შესაბამის კომისიის წევრს დაეკისრა დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

ახალქალაქის #40 საარჩევნო ოლქის #38 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევა, კერძოდ ,,ქართული ოცნების' წარმომადგენელი ამომრჩეველს შეყვა კაბინაში, რისი უფლებაც მას საქართველოს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობით არ ჰქონდა. აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით ,,მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელმა აღნიშნული პირის საუბნო კომისიის დატოვების მოთხოვნით დაწერა საჩივარი.

ახალქალაქის #40 საარჩევნო ოლქის #34 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევა, კერძოდ კომისიის წევრმა საჯაროდ განახორციელა ხმის მიცემა. რაც ,,მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლის მიერ დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის #22 საარჩევნო ოლქის #59 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირველ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის მიერ ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლა. კერძოდ, დამკვირვებელს არ მიეცა საშუალება გადაემოწმებინა ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში არსებული მონაცემები იყო თუ არა იდენტური ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებთან.

“მრავალეროვანი საქართველო” 2003 წლიდან აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და საარჩევნო პროცედურების ეფექტურად რეალიზების პროცესში. ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა საქართველოში გამართულ ყველა არჩევნებს.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED), ფონდი „ღია საზოგადოება საქარველოს“ (OSGF), საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინიტროს ფინანსური მხარდაჭერით.

განცხადების შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახადეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

საქართველო, 0102, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 117, II სად., 1 სართ.
ტელ/ფაქსი : (+995 32) 296 21 25
e-mail: pmmg@pmmg.org.ge *web-page : www.pmmg.org.ge*